

# გზაზე ერთი ქვეყანა მიდიოდა

გაზეთი "დრონი" – 10-16 მარტი, # 6, 2011

„გზაზე ერთი ქვეყანა მიდიოდა“ ჩვენი გაზეთის მუდმივი რუბრიკაა.

1. გზის რომელ მონაკვეთში იმყოფება ქვეყანა და გამოკვეთილია თუ არა მისი საბოლოო ორიენტაცია?
2. რა გამოცდილება შეიძინა ქვეყანამ განვლილ გზაზე და ითვალისწინებს თუ არა ამ გამოცდილებას დარჩენილი გზის გასავლელად?
3. ხელისუფალთა სურვილები და ქვეყნის რეალური, პოტენციური შესაძლებლობები - ემთხვევა თუ არა ერთმანეთს და რას კარგავს ქვეყანა ასეთ წინააღმდეგობრივ გზაზე?
4. სახიფათო მოსახვევები, საშიში თანამგზავრები და კეთილგანწყობილი მეგზურები. ნაბიჯი წინ თუ ორი ნაბიჯი უკან?
5. გლობალიზაციის საფრთხის პირობებში რა უნდა შეინარჩუნოს და რაზე თქვას უარი გზაჯვარედინზე მდგარმა ქვეყანამ?

## ლადო პაპავა

1. შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დასრულებულია ისევე, როგორც ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში. თუმცა, ის პრინციპულად განსხვავდება ევროპის საბაზრო ეკონომიკის მოდელისგან. ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, რუსეთი, სომხეთი ან აზერბაიჯანი, შექმნილია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი. ეს არის კაპიტალიზმის ახალი ნაირსახეობა, რომელიც განსხვავდება მსოფლიოში არსებული

კაპიტალიზმის მოდელებისგან. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის მოდელში ჯერ კიდევ შემორჩენილია კომუნისტური ეპოქის ინსტიტუტები და საზოგადოებაშიც ჯერ კიდევ ძლიერია იმ პერიოდიდან შემორჩენილი მენტალიტეტი. ამ მდგომარეობაში დიდხანს გაჩერება და ქვეყნის პოზიტიური განვითარება წარმოუდგენელია. ამიტომ, უნდა დავიწყოთ გარდამავალი პერიოდი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმიდან - ევროპული ტიპის კაპიტალიზმისაკენ. ეს ჩემი ხედვაა, თუმცა ამ ხედვას არ იზიარებს ხელისუფლება, რომელსაც სურს საქართველოს საზოგადოებისა და ეკონომიკის გადაყვანა სინგაპურის მოდელზე. დღეს ვდგავართ გარკვეული ალტერნატივის წინაშე: პოსტკომუნისტური კაპიტალიზმიდან - სინგაპურული კაპიტალიზმისაკენ თუ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმიდან - ევროპული კაპიტალიზმისაკენ.

2. თუ ავიღებთ სახელმწიფოს მოწყობისა და პოლიტიკურ ცვლილებებს, ეს მხოლოდ ძალისმიერი გზით ხდებოდა. ძალისმიერი გზით შევცვალეთ ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, ძალისმიერი გზით შევცვლის მცდელობა გვქონდა სააკაშვილთან და არ ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი სურვილი ქვეყანაში უკვე დაძლეულია. ამ საკმოდ მწარე გამოცდილებით უნდა გვესწავლა, რომ ძალისმიერი გზით ვერაფერს სასიკეთოს ვერ შევქმნით. ხელისუფლება უშვებს შეცდომებს და საზოგადოებაში ქმნის მისი ისევ ძალისმიერი გზით შეცვლის განწყობას. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, როგორ შეეძლო ასე მარტივად დაეკარგა თავისი პოპულარობა სააკაშვილის ხელისუფლებას ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ქართული საზოგადოების მხრიდან თითქმის ასპროცენტიანი მხარდაჭერა ჰქონდა. ამიტომ საქართველოში დღეს განწყობა ისევ რევოლუციურია. ვერ ვიტყვი, რომ რევოლუციური განწყობა განმსაზღვრელი იქნება ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუმცა, ნებისმიერ რევოლუციას, მითუმეტეს ჩვენი მწარე გამოცდილების შემდეგ, უარყოფითად ვაფასებ. საეჭვოა, რევოლუციით მოსული ხელისუფლება იმაზე უკეთესი იყოს, ვინც ჩამოვაგდეთ.

3. სამწუხაროდ, ხელისუფალთა სურვილები და ქვეყნის რეალური შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამაზე არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველაზე თვალსაჩინოა საქართველოში მეორე დედაქალაქის მშენებლობა, რაც გამოიხატება ქუთაისში პარლამენტისა და მთავრობის რეზიდენციის გადატანით. ორივე შენობის მშენებლობა დაწყებულია. მსოფლიოში არსებობს ქვეყანაში ორი დედაქალაქის არსებობის გამოცდილება, მაგრამ, როგორც წესი ეს ხდება იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამის ეკონომიკური შესაძლებლობა აქვთ. როდესაც პოსტსაბჭოთა ყაზახეთში ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ალმა-ატიდან დედაქალაქი გადაეტანა ასტანაში, ისინი გამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ ასტანა ყაზახეთის უფრო ჩრდილოეთი მხარეა, ვიდრე ალმა-ატა, რომელიც ეთნიკურად რუსულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყაზახეთს საკუთარი ნავთობი და გაზი აქვს, და საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. საქართველოს კი მეორე დედაქალაქის შექმნის რესურსი არ გააჩნია. საქართველოს, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლს მიეცა სერიოზული ფინანსური დახმარება. ომის დასრულებიდან რამდენიმე თვეში, 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში შედგა დონორთა კონფერენცია, სადაც საქართველოს დახმარების სახით გამოუყვეს 4.55 მილიარდი დოლარი. როდესაც ქვეყანას ეხმარებიან, ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა გაჭირვებულია, ხოლო გაჭირვებული ქვეყანა მეორე დედაქალაქს არ აშენებს.

4. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მტერი იყო, არის და სავარაუდოდ კიდევ კარგა ხანს დარჩება რუსეთი. საომარი მოქმედებების დროს, 2008 წლის აგვისტოში, იბომბებოდა ის ტერიტორიებიც, რომლებიც დაშორებული იყო სამხრეთ ოსეთის საზღვრებს. ჩვენ რუსეთისთვის ყოველთვის ვრჩებით იმ მეზობლად, რომელიც აღიზიანებს. ახლო მეზობლებში ჩვენი ყველაზე დიდი მხარდამჭერი არის აზერბაიჯანი, ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით მასზე ვართ დამოკიდებული. რთული, მაგრამ კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაქვს სომხებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, რუსეთი კი ჩვენი მტერია. ეს ართულებს ქართულ-სომხურ ურთიერთობებს. სომხეთს

გააზრებული აქვს, რომ მისთვის საკმარისია აზერბაიჯანთან კონფლიქტი და კონფლიქტის ახალი კერის შექმნა საქართველოში არ აწყობს. ამიტომ შესაძლებელია, სომხეთთან ურთიერთობის გამოყენება რუსეთთან დიალოგის გასამართად. ჩვენი სერიოზული პარტნიორია თურქეთი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას თავისი მიზნები და ამბიციები აქვს, რეგიონში მისთვის მთავარი ქვეყანა აზერბაიჯანია და საქართველოსთან კარგი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველო არის თურქეთის აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდი. საქართველოს ყველაზე დიდი სტრატეგიული პარტნიორი არის ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა, მანაც გაგვიჩნია დათვური სამსახური ბრმა და უაზრო დაპირებით, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო ნატოს წევრი ქვეყანა. რაც შეეხება ევროკავშირს, მან გამოგვიჩნოდა მეგობრობის ხელი, როცა შემოგვთავაზა თავისუფალი ვაჭრობის დამყარება ევროკავშირთან. საქართველოს მთავრობაზე დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ დახმარებას. ამიტომ, ფორმულის - ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან - გამიჭირდება მისადაგება ამ სიტუაციასთან, რადგან ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა "ნაბიჯებით" ვერ გაიზომება. დღეს ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს სწორად გაიაზროს რომელ პარტნიორთან რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, მაგრამ ვინც ჩვენი მეგობრები არიან, მათთან ურთიერთობა არ უნდა გავიფუჭოთ, რათა მარტო არ დავრჩეთ, როგორც თავის დროზე დარჩა ზვიად გამსახურდიას რეჟიმი.

5. გლობალიზაცია ისეთი ობიექტური მოვლენაა, რომელსაც ვერ აიცილებ, ეს შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ჩვენი თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებას. ქართული ენა გადატვირთულია ბარბარიზმებით. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დამპყრობელს შემოჰქონდა თავისი სიტყვები და ხშირად, როცა გვგონია, ქართულად ვსაუბრობთ, თუმცა ვიყენებთ თურქული, სპარსული თუ არაბული წარმოშვების სიტყვებს. რუსეთის იმპერიაში და შემდგომ საბჭოთა კავშირის დროს ძალით ინერგებოდა რუსული ენა. დღეს

საქართველო დამოუკიდებელია, ამერიკა და ინგლისი თავს არ გვახვევს თავის ენას, მაგრამ ქართული სიტყვების ნაცვლად წამხედურობით ინგლისურ სიტყვებს ვიყენებთ. ხშირად ამბობენ, საქართველო პატარა ქვეყანააო, რაც შეცდომაა. საქართველოს მცირე და არა პატარა ქვეყანაა! ჩვენ ვართ მცირე მიწიანი, მცირე მოსახლეობიანი ქვეყანა. მცირე ქვეყნისთვის კი ყველაზე მთავარი ენის შენარჩუნებაა. შორს ვარ იმისგან, რასაც ჩვენი მეზობელი სომხები აკეთებენ, მათ აქვთ გადმოღებული ფრანგული მოდელი, როცა ყველა უცხოურ სიტყვას თარგმნიან თავის ენაზე და თვითონვე ხვდებიან, რომ ეს ყოველთვის როდია ნორმალური. მაგრამ მერწმუნეთ, ეს უკეთესია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ასე რომ, გლობალიზაციის საფრთხის პირობებში ჩვენთვის ყველაზე მთავარი ქართული ენის გადარჩენაა. ენა თუ დაკვარგეთ, ვედარაფერი ვეღარ გვიშველის.